სწავლების მეთოდიკა
Methodic of Teaching

ზეპირი თარგმანის გაკვეთილის მიზნები და წინაპირობები

სოფიო მუჯირი
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
e-mail: sophio.mujiri@tsu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.25
SJIF 2026: 8.679

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ზეპირი თარგმნისა და დიდაქტიკის საკითხებზე, რომლებიც მოიცავენ სწავლებისა და სწავლის მიზნებს (ტექსტის გაგებისა და დამახსოვრების გაუმჯობესება, თარგმნისა და ტექსტის რედაქტირებისთვის საჭირო სტრატეგიების გაცნობიერება, ინფორმაციის მოძიების, პროფესიული ეთიკის, კულტურული და ტექსტის კომპეტენციების განვითარება), წინაპირობებს (ენობრივ-კულტურული, ინტელექტუალური, ფსიქიკური და ფიზიკური, პროფესიული ეთიკის წინაპირობები) ასევე სპეციფიკურ მეთოდებს, სწავლებისა და სწავლის შინაარსებს.

საკვანძო სიტყვები: ზეპირი თარგმანი, დიდაქტიკა, მიზნები, წინაპირობები, მეთოდები, შინაარსები

ზეპირი თარგმანის (თარჯიმნობის) გაკვეთილის ეფექტურად დაგეგმვისა და ჩატარებისათვის აუცილებელია ყურადღების გამახვილება როგორც ზეპირი თარგმანის, ასევე დიდაქტიკის საკითხებზე, რომლებიც მოიცავენ სწავლების მიზნებს, სპეციფიკურ მეთოდებს, სწავლებისა და სწავლის შინაარსებს და ა. შ.

თავდაპირველად მოკლედ შევეხებით იმას, თუ როგორი მოთხოვნებია იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სურთ ზეპირი თარგმანის სწავლება და სწავლა, შემდეგში კი განვიხილავთ სწავლისა და სწავლების უმთავრეს მიზნებს.

ისმის კითხვა, თუ *ვის შეუძლია ზეპირი თარგმანის სწავლება?*

ამ კითხვას შეიძლება ზოგადად ვუპასუხოთ: ზეპირი და წერითი მთარგმნელების წინაშე წაყენებული მოთხოვნები თითქმის ერთნაირია. კერძოდ, ორივეს ევალება მშობლიური და უცხოური ენების სრულყოფილი ცოდნა, დარგობრივი სპეციალიზაცია, კულტურული ერუდიცია, სპეციფიკური პროფესიული უნარები, პროფესიული ეთიკა და სხვ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე პროფესია საერთო საბაზისო კომპეტენციებს ეფუძნება, მათი სამუშაო სპეციფიკა მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

წერითი მთარგმნელისაგან[1] განსხვავებით, ზეპირ (კონზეკუტიურ ანუ თანმიმდევრულ) მთარგმნელს მეტად მოეთხოვება მაღალი სტრესმედეგობა კონფერენციებსა და მოლაპარაკებებზე, უკეთესი მეხსიერება და კონცენტრაციის უნარი, მოსმენილი ინფორმაციიდან აზრის სწორად და სწრაფად გამოტანა, აქტიური ლექსიკური მარაგი, ჩანაწერების (ნოტაციის) სწრაფად გაკეთების და ორატორული უნარები, ასევე შეძლებისდაგვარად, სათარჯიმნო თემის წინასწარი სიღრმისეული შესწავლა და ა.შ. [2]

ვის შეუძლია ზეპირი თარგმანის სწავლა?

იმ პირებს, რომლებმაც გადაწყვიტეს გახდნენ თარჯიმნები, როგორც წესი, დასრულებული აქვთ საშუალო განათლება და ეუფლებიან რა თარჯიმნობას, გადიან მოსამზადებელ ეტაპს ამ სფეროში მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მომავალი თარჯიმნების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, პირველ რიგში ეხება ენობრივ-კულტურულ წინაპირობებს (მოსმენილის გაგებას, აზრის გამოხატვის უნარს, ენისა და კულტურის ცოდნას) და თარჯიმნის *პიროვნებასთან* დაკავშირებულ სპეციფიკურ წინაპირობებს. ესენია:

- *ინტელექტუალური წინაპირობები:* გონებრივი მოქნილობა,

აზროვნების სისხარტე, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, კომბინირების, აბსტრაქციისა და ანალიზის უნარები; ერუდიცია, მრავალმხრივი ინტერესები, ცოდნის წყურვილი, უწყვეტი სწავლისათვის მზაობა და უცხო დარგობრივ სფეროებში სწრაფად გარკვევის უნარი;

- *ფსიქიკური და ფიზიკური წინაპირობები:* კარგი

მეხსიერება, გამძლეობა, ნორმალური ხმის მონაცემები, კონცენტრაციისა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარები.

- *პროფესიული ეთიკის წინაპირობები:* მოვალეობისა და

პასუხისმგებლობის გრძნობა, სანდოობა, მოქმედებისადმი მზადყოფნა, თავმდაბლობა, თავდაჯერებული გამოსვლა, კარგი მანერები და ტაქტი, გუნდთან ურთიერთობისა და მუშაობის უნარი, საკუთარზე მეტად სხვისი აზრის გათვალისწინების უნარი, ასევე მიზან-ენაზე სათქმელის ადეკვატურად გამოხატვის უნარი.

თარჯიმნობის გაკვეთილი მიზნად ისახავს სწავლის პროცესში ზემოაღნიშნული წინაპირობების სრულყოფას, თარჯიმნის კომპეტენციის განვითარებისა და პროფესიის წარმატებით დაუფლებისათვის.

---

[1] წერითი მთარგმნელის ძირითადი უნარებია: სტილისტიკის ცოდნა, ტექსტის გამართვისა და რედაქტირების უნარი, ინფორმაციისა და ტერმინების მოძიების უნარი, კონცენტრაციის უნარი, ტექნოლოგიების ცოდნა და სხვ.

[2] თარჯიმნობის გაკვეთილზე ზოგ შემთხვევაში პარალელურად ხდება უცხოური ენის იძულებითი ათვისება ან სრულყოფა. (განსაკუთრებით იმ ენებისა, რომლებიც სკოლაში არ ისწავლებოდა), რაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. თუმცა, პროდუქტიული იქნებოდა უცხო ენის გაკვეთილზე თარჯიმნობის ხელშემწყობი სავარჯიშოების შეტანა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ სტუდენტებს ამ თვისებებისა და უნარებისადმი, სულ ცოტა, *განწყობა და მიდრეკილება* მაინც უნდა გააჩნდეთ. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, შემდგომში მათი იმედგაცრუების თავიდან ასაცილებლად, სწავლებისა და პროფესიის დაუფლების პროცესშიც, მათ მივცეთ კვალიფიციური პროფესიული რჩევები (პროფესიული შერჩევისა და უნარების ტესტების, ე. წ. „საცდელი კურსების“ სახით და სხვ.)

რა არის სწავლისა და სწავლების უმნიშვნელოვანესი მიზნები თარჯიმნობის გაკვეთილზე?

თარჯიმნობის გაკვეთილის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტებში განვავითაროთ თარჯიმნობის კომპეტენცია, რომელიც ყალიბდება ცოდნის საჭირო მარაგის და უნარ-ჩვევების ერთობლიობით. მათი ურთიერთკავშირიდან გამომდინარე უნდა დავსახოთ სწავლისა და სწავლების მიზნები და შევიმუშავოთ შესაფერისი სავარჯიშოები.

თარჯიმნობის კომპეტენციის მნიშვნელოვანი ნაწილია კულტურული კომპეტენცია, რომლითაც ვგულისხმობთ მედიატორობის უნარს საკუთარ და უცხოენოვანი პარტნიორის კულტურათა შორის. თარჯიმანს ზეპირი თარგმნის გარდა, უნდა შეეძლოს (ვიწრო გაგებით) მხარეთმცოდნეობის მრჩევლის ფუნქციის შესრულებაც. მაგალითად, თარჯიმანი, რომელიც თან ახლავს დელეგაციას საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს, მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ დელეგაციის წევრებს მოთხოვნის შემთხვევაში, წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია მოცემულ ქვეყანაში მოსალოდნელი სირთულეებისა და მოქალაქეებთან ურთიერთობის თავისებურებების შესახებ (ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ნორმები, კონვენციები, საუბრის რიტუალები, ეტიკეტის ფორმები, დროის მართვა და ა. შ.). აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მისგან ხშირად ელიან ინფორმაციას „ტექნიკური საკითხების“ შესახებაც (მაგ. როგორი ამინდია მოლაპარაკების ადგილას? როგორია ტრანსპორტით გადაადგილების პირობები? თავისუფალი დროის გატარების რა შესაძლებლობები არსებობს? რა ტიპის სასტუმროებია და ა. შ.). ეს იმას ნიშნავს, რომ თარჯიმანს უნდა გააჩნდეს:

- ყოვლისმომცველი, მუდმივად განვითარებადი და აქტუალური ცოდნა როგორც საკუთარი, ასევე უცხო კულტურისა და საკომუნიკაციო საზოგადოების შესახებ;
- უნარი, ამოიცნოს მსგავსებები და განსხვავებები ორ კულტურას შორის და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები თავისი თარჯიმნობითი საქმიანობისთვის.

თარჯიმნობის კომპეტენციის მეორე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ტექსტის კომპეტენცია (ტექსტის გაგების, შექმნისა და პროდუცირების უნარი), როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაში. თარჯიმნობის გაკვეთილზე სტუდენტები ინტენსიურად უნდა ვარჯიშობდნენ პირველ რიგში, მშობლიურენოვანი ტექსტის კომპეტენციაში, რადგან როგორც წესი, თარჯიმნობა უმთავრესად მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს. ორივე სამუშაო ენებში ტექსტის კომპეტენციის გაუმჯობესება მჭიდროდაა დაკავშირებული თარჯიმნობისთვის სპეციფიკური მეთოდების სწავლებასთან და შესაძლებლობის ფარგლებში, სპეციალური სავარჯიშოების შესრულებასთან. (მოიაზრება სტუდენტების მოხსენებები წინასწარ მოცემული თემის შესახებ როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე, რეალური სიტუაციების სიმულირება, წინასწარი მომზადებით ან მის გარეშე).

თარჯიმნობისათვის სპეციფიკური მეთოდების ცოდნა, რომელსაც სტუდენტებს გადავცემთ თარჯიმნობის სწავლების პროცესში, მოიცავს ერთი მხრივ, ენისა და კულტურათმცოდნეობით, მეორე მხრივ კი, ტრანსლატოლოგიურ ასპექტებს[1]

ეჭვგარეშეა, რომ სწავლებისა და სწავლის მთავარ მიზნად უნდა მივიჩნიოთ მოსმენილის ადეკვატური აღქმა-გაგება და ამ უნარის მაქსიმალურად გაუმჯობესება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თარჯიმნის პროფესიული ამოცანების განსახორციელებლად. ასევე მნიშვნელოვანია, საკუთარ სპონტანურ ასოციაციებზე დაყრდნობით, თარჯიმნობის პროცესში, ამოსავალი ტექსტის ჰოლისტური გაგება, ნაცვლად იმისა, რომ ვეძებოთ ამოსავალი ენის სიტყვების ეკვივალენტები მიზან-ენაზე. ეს უნარები განმტკიცებული უნდა იყოს შესაბამისი სავარჯიშოებით.

სწავლების შემდეგი მიზანია, გაგებული ტექსტის დამახსოვრებისა და მეხსიერების უნარის გაუმჯობესება. ამისთვის მიზანშეწონილია მეხსიერების და ნოტაციის გასაუმჯობესებელი სავარჯიშოების გამოყენება. ნოტაციის სავარჯიშოები ნოტაციის ტექნიკის დახვეწასთან ერთად, წარმოადგენენ გაგებისათვის საჭირო სავარჯიშოებს, რომელთა დახმარებით შესაძლებელი ხდება მიზან-ტექსტის ღირებული შინაარსების დამახსოვრება.

სწავლებისა და სწავლის მესამე მნიშვნელოვანი მიზანია სტრატეგიების გაცნობიერება, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამოსავალი ენიდან მიზან-ენაზე თარგმნისათვის და და მიზან-ტექსტის რედაქტირებისთვის. ეს მიზნებიც შესაბამისი სავარჯიშოების გამოყენებით უნდა იქნეს მიღწეული.

სწავლებისა და სწავლის შემდეგი მიზანია - „პროფესიონალური ზეპირი გამოსვლა“. ამ მიზნის განსახორციელებლად აუცილებელია არტიკულაციისა და მეტყველების, ასევე მიზან-ტექსტის ადეკვატური გაჟღერებისათვის სავარჯიშოების შედგენა და შესრულება.

თარჯიმნობის სწავლებისა და სწავლის ერთ-ერთ ცენტრალურ მიზანს წარმოადგენს ძიების კომპეტენციის განვითარება და ამით სამყაროსეული და დარგობრივი ცოდნის გაფართოება, ამ მიზნის შესრულებას ასევე ხელი უნდა შევუწყოთ შესაბამისი სავარჯიშოებით.

და ბოლოს, უნდა დავასახელოთ თარჯიმნობის სწავლებისა და სწავლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი *მიზანი - პროფესიული ეთიკისა და პროფესიონალური უნარების განვითარება.* ამით პირველ რიგში ვგულისხმობთ, პედაგოგის მიერ სიმულირებული სიტუაციების შექმნას, რომლებშიც სტუდენტები გააცნობიერებენ თარჯიმნობის სპეციფიკას. მაგალითად, სტუდენტებმა უნდა გაითავისონ, რომ აუცილებელია დროის დეფიციტის პირობებში სწრაფად მოიძიონ თარჯიმნობისთვის საჭირო ინფორმაცია. მათ ასევე უნდა იცოდნენ, რომ ზოგჯერ მოუწევთ არასრულყოფილი ინფორმაციებით დაკმაყოფილება და ამის შედეგად არასწორი თარგმნა, ანუ ერთგვარი პროფესიული რისკით ცხოვრება. ამასთან კავშირში, სასურველია გაკვეთილზე თვითშესწორების ტრენინგების ჩატარება გუნდური მუშაობის პირობებში (მაგ. ორი თარჯიმნის მიერ წინასწარ ნათარგმნი მასალის პარალელური პრეზენტაცია).

[1] მათ შორის ფსიქოლინგვისტურ და კომუნიკაციის მეცნიერებებს.

ლიტერატურა:

1. **Koller, Werner / Berg Henjum, Kjetil (2020).** *Einführung in die Übersetzungswissenschaft*. 9. Auflage. Tübingen: Narr Francke.
2. **Snell-Hornby, Mary / Hönig, Hans G. / Kußmaul, Paul / Schmitt, Peter A. (Hrsg.) (2006).** *Handbuch Translation*. 2. Auflage. Tübingen: Stauffenburg.
3. **Kautz, Ulrich (2002).** *Handbuch Didaktik des Übersetzens und Dolmetschens*. 2. Auflage. München: Iudicium.
4. **Nord, Christiane (2009).** *Textanalyse und Übersetzen: Theoretische Grundlagen, Methode und didaktische Anwendung einer übersetzungsrelevanten Textanalyse*. 4. Auflage. Tübingen: Julius Groos.
5. **Kaindl, Klaus / Kadrić, Mira (Hrsg.) (2016).** *Berufsziel Übersetzen und Dolmetschen: Grundlagen, Ausbildung, Arbeitsfelder*. Tübingen: Narr Francke Attempto.

Sophio Mujiri
Iv.Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
e-mail: sophio.mujiri@tsu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2026.36.25
SJIF 2026: 8.679

Objectives and Prerequesites For An Oral Translation

Abstract

The paper focuses on issues related to oral translation and didactics, encompassing the goals of teaching and learning. (improving text comprehension and retention; understanding strategies required for translation and text editing; developing skills in information retrieval, professional ethics, and cultural and textual competencies), Prerequisites (linguistic-cultural, intellectual, mental and physical, and professional ethics-related prerequisites), as well as specific methods and the content of teaching and learning.

Keywords: interpreting, didactics, goals, prerequisites, methods, content

რეცენზენტი: პროფესორი ელისო ქორიძე